

ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N8 საცხოვრებელი სახლის N73 ბინაზე,  
მოქალაქე კლემენტი სადილიანისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და  
მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ირაკლი აბაშიძის გამზირი N8 საცხოვრებელი სახლის N73 ბინაში მცხოვრები მოქალაქე კლემენტი სადილიანის წარმომადგენლის ელისო სადილიანის განცხადება /2012 წლის 21.08 Nს-6842/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N8 საცხოვრებელი სახლის N73 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე კლემენტი სადილიანის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N8 საცხოვრებელი სახლის N73 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე კლემენტი სადილიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N8 საცხოვრებელი სახლის N73 ბინაზე /საერთო ფართობი 61,18 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 36,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,18 კვ.მ./ მოქალაქე კლემენტი სადილიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონგროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია